

მომზადებულია სატელევიზიო გადაცემისთვის: “აგრო ბიზნესი” მომზადებულია

“ENPARD Ajara”-ს პროგრამის ფარგლებში,
გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ,
ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით

საორიენტაციო ბიზნეს გეგმა - ჩირიანი შოკოლადის წარმოება, დაფასოება და რეალიზაცია

მოცემული დოკუმენტის მიზანია მკითხველს მისცეს ძირითადი წარმოდგენები განხილული ბიზნეს პროექტის რენტაბელობასთან დაკავშირებით, ასევე შეუქმნას მას წარმოდგენა ისეთ მნიშვნელოვან ბიზნეს ნიშნულებზე, როგორცაა თვითღირებულება, მუდმივი ხარჯები, მოგება ზარალი, ფულადი სახსრების მოძრაობა, უკუგების კოეფიციენტი, მოგების მარჟა, საინვესტიციო ღირებულება და სხვა.

შესაბამისი სატელევიზიო ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ :

1. აჭარის ტელევიზიისა და რადიომალაუწყებლობის ვებ გვერდზე;
2. ფეისბუქ გვერდზე: <https://www.facebook.com/agrorchevebi?fref=ts>

გადაცემაში მოყვანილი მოსაზრებები

ავტორისეულია და შესაძლოა არ ემთხვეოდეს

ევროკავშირისა და გაეროს მოსაზრებებს

ძირითადი ინფორმაცია

საზოგადოება იურიდიული პირია. იგი იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას იძებს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. საზოგადოების ოფიციალური ენაა ქართული.

საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენ ჩირიანი შოკოლადის წარმოება, დაფასოება და რეალიზაცია. საზოგადოების ძირითადი მიზანი არის მოგების მიღება.

საზოგადოების ამოცანა არის ბაზრების ათვისება და პროდუქტის ასორტიმენტის მუდმივი ზრდა. საწარმო განთავსებული იქნება ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში, დისტრიბუციისთვის ხელსაყრელ ადგილას.

წინაპირობები

1. ბიზნეს-გეგმა გათვლილია ერთწლიან საანგარიშო პერიოდზე, ხოლო ხარჯები და შემოსავლები დაანგარიშებულია აჭარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით;
2. პროექტი ითვალისწინებს 11 ტონა ჩირიანი შოკოლადის დამზადებასა და შეფუთვა-რეალიზაციას;
3. ქლიავის გამოსავლიანობის მაჩვენებლად აღებულია საერთო რაოდენობის 35 პროცენტი, ანუ ნაგულისხმევია 65 პროცენტის დანაკარგი, რომელიც შრობასა და მისთვის კურკის გაცლასთან არის დაკავშირებული;
4. შოკოლადის გამოსავლიანობის მაჩვენებლად აღებულია საერთო რაოდენობის 98 პროცენტი, ანუ ნაგულისხმევია 2 პროცენტის დანაკარგი, რომელიც გადამუშავების პროცესთან არის დაკავშირებული;
5. გადასამუშავებელი ქლიავის სახეობა არის შერეული;
6. გადასამუშავებელი შოკოლადის სახეობა არის „შავი“;
7. გასაყიდი შეფუთვები წარმოდგენილია 90 და 150 გრამიანი პაკეტების სახით;
8. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზარი შემოიფარგლება ქალაქ ბათუმით;
9. წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატული მეტრის ფართი;
10. ბიზნესის საინვესტიციო მოცულობა არის 169 450 ლარი;

11. ბიზნესის რენტაბელობა დათვლილია, როგორც საკუთარი, ასევე მოზიდული სახსრების შემთხვევაში;
12. საგადასახადო ვალდებულებები ნაჩვენებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
13. წლის ბოლოს არ არსებობს საქონლის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;
14. გაანგარიშებები გაკეთებულია ეროვნულ ვალუტაში.

ბაზრის ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ ჩირიანი შოკოლადის წარმოება არათუ აჭარის, არამედ საქართველოს მასშტაბითაც კი სიახლეა, რეგიონში მსგავსი პროდუქტების დამზადების არანაირი გამოცდილება არ არსებობს. თუმცა პოტენციალი, რომელიც ამ მხვრივ ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია, საკმაოდ დიდია. კერძოდ, აქ, ხილის თითქმის ყველა ის სახეობა მოჰყავთ, რომლისგანაც ჩირის მიღებაა შესაძლებელი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში, ყოველწლიურად, საშუალოდ, 180 ათასი ტონა ხილი იწარმოება, საიდანაც 9 ათასი ტონა ანუ საერთო რაოდენობის 5 პროცენტი აჭარაზე მოდის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ხილის ამ რაოდენობაში, სწორედ საჩირე სახეობები სჭარბობს, მეწარმეს, ამ მხვრივ, ნედლეულის დეფიციტი ნამდვილად არ შეექმნება, რასაც ვერ ვიტყვით ჩირიანი შოკოლადის დასამზადებლად საჭირო მეორე ძირითად პროდუქტზე - შოკოლადზე. მართალია ის აჭარაში არ მოიპოვება, მაგრამ მისი შეძენა, ამ ეტაპზე, საქართველოს ტერიტორიაზეც არის შესაძლებელი.

ვინაიდან, ჩირიანი შოკოლადი უფრო ჩირად ითვლება, ვიდრე შოკოლადად, საორიენტაციოდ ჩირის გაყიდვები ავიღეთ. ამ მონაცემის ანალიზმა აჩვენა, რომ ქალაქის სხვადასხვა უბანში მოქმედ მხოლოდ 8 მსხვილ და მცირე ზომის სავაჭრო ობიექტს, წლის განმავლობაში, საშუალოდ, 5 ტონამდე ჩირიანი შოკოლადის რეალიზების პოტენციალი გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ობიექტს, რა ზომისაც არ უნდა იყოს ის, წლის განმავლობაში, სულ მცირე, ნახევარი ტონაზე მეტი ასეთი პროდუქტის გაყიდვა შეუძლია. იქედან გამომდინარე, რომ ბათუმში, ჯამში, სურსათით მოვაჭრე 600-ზე მეტი ობიექტია

რეგისტრირებული, ნათელია, რომ ბაზრის გაჯერების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა მარტივი არ არის, რაც მეწარმისთვის ბაზარზე საკმაოდ ფართო გასაქანს ნიშნავს. რაც შეეხება სარეალიზაციო არხებს, იგივე მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით, 11 ტონა პროდუქციის გასაყიდად 18 ობიექტია საკმარისი, რაც მაღაზიების საერთო რაოდენობის 3 პროცენტია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ბაზრის დიდ რესურსტევადობაზე.

პროდუქცია

პროექტისთვის ქლიავის სახეობად აღებულია შერეული ქლიავი, ხოლო შოკოლადის სახეობად - შავი. სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 90 და 150 გრამიანი შეფუთვის სახით; პროექტის ფარგლებში საწრამო ახორციელებს 11 ტონა ჩირიანი შოკოლადის დამზადებასა და შეფუთვა-რეალიზაციას.

ფიქსირებული აქტივები

საწარმოო პროცესში საჭირო ძირითადი საშუალებები:

	დასახელება	ღირებულება GEL
1	ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500
2	კომპიუტერი	600
3	ბუღალტრული პროგრამა	800
4	სასწორი	235
5	საშრობი	9 360
6	შოკოლადის სადნობი და ჩამოსასხმელი	10 300
7	შესაფუთი	14 040
8	მაცივარ	2 650

ეს არის ძირითადი საშუალებების მინიმალური ოდენობა, რომელიც ჩირიანი შოკოლადის საწარმოებლად საწარმოს არსებობის პირველი წლისათვის იქნა გათვალისწინებული ბიზნეს გეგმის შემუშავებისას.

ადამიანური რესურსები

საწარმოს ბიზნეს საქმიანობის პირველი წლისათვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 6 თანამშრომელი, რომელთაც განსაზღვრული ექნებათ კონრეტული ამოცანები. სათავეში იდგება საწარმოს *მენეჯერი*, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ბიზნეს პროცესს (დარიცხული ხელფასი 1000 ლარი თვეში). შემდეგი რგოლი სტრუქტურაში იქნება *ტექნოლოგი*, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიების ცოდნას და პრაქტიკულ წარმართვას (დარიცხული ხელფასი 800 ლარი თვეში). ასევე მნიშვნელოვანია *ტექნიკური პერსონალი*, რომლებიც უშუალოდ იქნება ჩართული ყოველდღიურ ოპერაციულ საქმიანობაში. (დარიცხული ხელფასი 375 ლარი თვეში). ასევე იქნება *გადასარჩევი საამქროს პერსონალი*, რომლის ვალდებულებულაც იქნება საწარმოო პროცესში ქლიავის/ჩირის გადარჩევა, დახარისხება. საწარმოს ეყოლება სულ ორი გადასარჩევი საამქროს პერსონალი. (ყოველ სამუშაო დღეს თითოს იქნება დარიცხული 10 ლარი). საწარმოს სტრუქტურის ფინანსური ჯგუფის წარმომადგენელი იქნება *ბუღალტერი*. მის მოვალეობაში შევა საწარმოს ფინანსური ნაკადების რეგულირება, წლის ბოლოს საწარმოს ბიუჯეტის ბალანსირება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა (დარიცხული ხელფასი 300 ლარი თვეში).

ფინანსური ინფორმაცია

აღნიშნული ბიზნესის დასაწყებად საჭიროა 169 450 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. ეს არის ის თანხა, რომელიც ძირითადი საშუალებების, ნედლეულის და შესაფუთი მასალების შეძენას და სხვა ხარჯების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

აღნიშნული ბიზნეს - გეგმა გათვლილია ჩირიანი შოკოლადის პოლიეთილენის პარკებში შეფუთულ პროდუქციის რეალიზაციაზე.

წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 100 კვადრატული მეტრის ფართი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში აღებული იჯარის პირობით, იჯარის თანხა შეადგენს თვიურ 800 ლარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ საწარმოს სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 90 და 150 გრამიანი შეფუთვის სახით; კომპონენტები რომლებიც თითოეული პროდუქტის თვითღირებულების ფორმულირებას ახდენენ არის პოლიეთილენის ფირი, ეტიკეტი, ქლიავი და შოკოლადი. აჭარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით, 1 კილოგრამი ქლიავის საშუალო შესასყიდი ფასი 1,25 ლარია, ხოლო შოკოლადის - 5 ლარი. ქვემოთ

მოცემული ცხრილის მიხედვით, შეგვიძლია ვნახოთ რა ღირებულებისაა თითოეული წარმოებული პროდუქტი :

პროდუქტი	შეფუთვა კგ-ში	ტარის ფასი			სულ ერთეულის ღირებულება
		პოლიეთილენის ფირი	ეტიკეტი	ჩირიანი შოკოლადის ღირებულება	
1	2	3	4	5	6
ჩირიანი	0,090	0,17	0,06	0,40	0,60
შოკოლადი	0,150	0,25	0,10	0,70	1,05

ქლიავის შესყიდვების დინამიკის ანალიზმა აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მსგავსად მისი რეალიზაციაც სეზონურობით ხასიათდება. კერძოდ, გაყიდვების ყველაზე მეტი წილი - 80 პროცენტი მოდის მესამე კვარტალზე, 20 პროცენტი - მესამე კვარტალზე, 0 პროცენტი პირველ კვარტალზე და მეორე კვარტალზე. ამ მოცემულობების გათვალისწინებით, შესყიდვების მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით ასეთი იქნება:

შესყიდული პროდუქცია	კგ	ღირებულება	4 კვარტალი			1 კვარტალი			2 კვარტალი			3 კვარტალი		
			კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი	კგ	ერთეული	ფასი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ჩირიანი შოკოლადი	0,090	0,60	1 460	16 230	10295	0	0	0	0	0	0	5 845	64935	41175
	0,150	1,05	790	5 245	5 365	0	0	0	0	0	0	3145	20980	21470
ჯამი:			2 250	21 475	15660	0	0	0	0	0	0	8 990	85915	62645

რაც შეეხება რეალიზაციას, ჩირიანი შოკოლადის საშუალო სარეალიზაციო ფასს, 90 გრამიანი შეფუთვის სარეალიზაციო ღირებულება, რომელშიც მისი გაყიდვა უშუალოდ მეწარმეს შეუძლია, 1 ლარი და 45 თეთრი, ხოლო ერთი ერთეული 150 გრამიანი შეფუთვისა 2 ლარი და 40 თეთრია. აღნიშნულის გათვალისწინებით გაყიდვების მაჩვენებლები ჯამურად ასეთი იქნება:

ამონაგები თანხა რეალიზაციიდან	შეფუთვა კგ-ში	ერთეულის ფასი	სულ შემოსავალი		სულ შემოსავალი რეალიზაციიდან
			სულ რეალიზებული კგ	სულ რეალიზებული ერთეული	
1	2	3	4	5	6
ჩირიანი შოკოლადი	0,090	1,45	7 295	81 160	116 880
	0,150	2,40	3 945	26 230	62 940
ჯამი:			11 240	107 390	179 820

მოგება და ზარალი

იმისათვის რომ შევაფასოთ კომპანიის ფინანსურის შესრულება დროის მოცემულ მომენტში, უნდა განვიხილოთ საწარმოს მოგება/ზარალის უწყისი. ეს არის ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირება, რომელიც გვაძლევს საშუალებას ფინანსურის ანალიზისთვის.

შემოსავალი			
	გაყიდვები ქიშმიშის რეალიზაციიდან		179 820
	წმინდა გაყიდვები		179 820
გაყიდული საქონლის თვითღირებულება			
	საწყისი მარაგები		0
	დამატებული	ქლიავი	16 250
		შოკოლადი	34 125
		საქონლის ტარა	27 930
		ელ-ენერჯია	530
		ხელფასი	12 200
	გამოკლებული საბოლოო მარაგები		0
	გაყიდული საქონლის თვითღირებულება		91 035
	მოგება საქონლის რეალიზაციის შედეგად		88 785
ხარჯები			

ხელფასი	20 100	
კომუნალური მომსახურება	360	
იჯარა	9 600	
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7 700	
სხვა ხარჯები	2 000	
ქონების გადასახადი	155	
მთლიანი ხარჯები		39 915
მოგება		48 870
დასაბეგრი მოგება		48 870
მოგების გადასახადი (15%)		7 330
წმინდა მოგება		41 540

საწარმოო პროცესთან დაკავშირებული გამოსავლიანობისა და დანაკარგების გათვალისწინებით 11 ტონა ჩირიანი შოკოლადი 13 ტონა ქლიავისა და 6 ტონა და 825 კილოგრამი შოკოლადისგან მზადდება. მისი სრულად რეალიზაციისგან მიღებული წლიური შემოსავალი კი 179 820 ლარია. თუ ამას, იმ დაშვებით, რომ კომპანიას არ აქვს საწყისი და საბოლოო მარაგები, გამოვაკლებთ გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რომელიც საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით შეადგენს 91 035 ლარს, ხელფასს, რომელიც მუდმივად დასაქმებული პერსონალისთვის, წლის განმავლობაში, შეადგენს 20 100 ლარს, კომუნალურ ხარჯებს, რომელიც აღწევს 360 ლარს, იჯარას, რომელიც დაქირავებული 100 კვადრატული მეტრის ფართის შემთხვევაში, არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით, წელიწადში, შეადგენს 9 600 ლარს, ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს, რომელიც არის 7 700 ლარი, ქონების გადასახადს, რომელიც შეადგენს 155 ლარს და სხვა ხარჯებს, რომელიც შეადგენს 2 000 ლარს, დაგვრჩება 48 870 ლარი, რაც დასაბეგრი მოგებაა. თუ ამ თანხას გამოვაკლებთ მოგების გადასახადსაც, რომელიც ამ შემთხვევაში შეადგენს 7 330 ლარს, დაგვრჩება 41 540 ლარი წმინდა მოგება. ამ გაანგარიშებებზე დაყრდნობით კი მოგების მარჯა 23 პროცენტი იქნება.

საწარმოს ნულოვანი მოგება

საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ ნულოვანი მოგება, რაც გულისხმობს პროდუქციის იმ რაოდენობის გამოთვლას, რომლის წარმოება-რეალიზაციაც მეწარმეს სრულად დაუფარავს როგორც საწარმოო ასევე მუდმივ ხარჯებს. ეს მაჩვენებელი საშუალებას მოგვცემს განსაზღვროთ, რამდენად სწრაფად შეძლებს საწარმო მუდმივი და ცვლადი ხარჯების დაფარვას და მომგებიანობის ეტაპზე გადასვლას. გამოთვლების შედეგად, დგინდება რომ ნულოვანი მოგებისთვის მეწარმემ, კომბინაციაში, ჯამურად, 55 685 ერთეული ჩირიანი შოკოლადის დამზადება და რეალიზაცია უნდა მოახდინოს, რისთვისაც, ჯამში, 5 ტონა და 825 კილოგრამი ნედლეულია საჭირო.

ამონაგები რეალიზაციიდან	თანხა	შეფუთვა კგ-ში	ერთეულის ფასი	სულ შემოსავალი		
				სულ რეალიზებული კგ	სულ რეალიზებული საქონელი	სულ შემოსავალი რეალიზაციიდან
1		2	3	4	5	6
ჩირიანი შოკოლადი		0,090	1,44	3 780	42 085	60 600
		0,150	2,40	2 045	13 600	32 645
ჯამი:				5 825	55 685	93 245

აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის შეფუთვა-რეალიზაციისგან კი მეწარმე ღებულობს ზუსტად იმდენ შემოსავალს, რამდენიც საკმარისია მუდმივი და სხვა ხარჯების დასაფარად და ამის შემდეგ რეალიზებული ყველა ერთეული შეფუთვა მისთვის უკვე მოგებას ნიშნავს. ამ დაანგარიშებებით გამოდის, რომ მეწარმემ, იმისათვის, რომ აღნიშნული ბიზნეს-საქმიანობა არ იყოს მისთვის წამგებიანი, უნდა დაამზადოს და გაყიდოს წლის მანძილზე დაგეგმილი საწარმოებელი პროდუქციის 52 პროცენტი მაინც.

ბალანსი

რაც შეეხება საწარმოს ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას წლის ბოლოს, კერძოდ კი საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ ინფორმაციას შევაფასებთ საწარმოს ბალანსის მიხედვით. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ პროექტის ფარგლებში არსებობს დაშვება რომ წლის ბოლოს ყველა დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არის დაფარული, რის გამოც ბალანსში არ არის მონაცემები საწარმოს ვალდებულებების შესახებ.

აქტივები

<i>მიმდინარე აქტივები:</i>	
ნალდი ფული	10 390 GEL
საბანკო ანგარიში	169 450 GEL
მთლიანი მიმდინარე აქტივები	179 840 GEL

<i>ძირითადი საშუალებები:</i>	
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL
კომპიუტერი	600 GEL
მოწყობილობა და დანადგარები	36 580 GEL
მთლიანი ძირითადი საშუალებები	37 680 GEL

<i>არამატერიალური აქტივები:</i>	
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL
მთლიანი არამატერიალური აქტივები	800 GEL

მთლიანი აქტივები	218 320 GEL
-------------------------	--------------------

ვალდებულებები და კაპიტალი

<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>	
დარიცხული მოგების გადასახადი	7 330 GEL
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	7 330 GEL

<i>კაპიტალი:</i>	
საკუთარი კაპიტალი	169 450 GEL
გაუნაწილებელი მოგება	41 540 GEL
მთლიანი კაპიტალი	210 990 GEL

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	218 320 GEL
--	--------------------

ბალანსის მიხედვით დგინდება, რომ საწარმოს წლის ბოლოს აქვს 218 320 ლარის მთლიანი აქტივები, რომლებიც შედგება მიმდინარე აქტივებისა და მატერიალური და არამატერიალური აქტივებისგან.

ამასთანავე აქვს გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს 41 540 ლარის ოდენობით, რომელიც დამფუძნებელს შეუძლია გაიტანოს დივიდენდის სახით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანუ ეგრეთ წოდებული „ქეშფლოუ“, წარმოადგენს უწყისს, რომელშიც, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, კომპანიაში შემომავალი და გამავალი ფულადი სახსრებია ასახული. მისი საშუალებით, კომპანიის მფლობელს შეუძლია პროგნოზის გაკეთება, რა მოცულობის ფულადი სახსრები ექნება კონკრეტული პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

			4 კვარტალი	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი
ფულადი ნაკადების ჯამური მაჩვენებელი						
კვარტლის დასაწყისში ფულის ოდენობა	ხელმისაწვდომი		0 GEL	167 180 GEL	200 815 GEL	224 550 GEL
კვარტლის ბოლოს ფულის ოდენობა	ხელმისაწვდომი		167 180 GEL	200 815 GEL	224 550 GEL	185 635 GEL

ფულადი ნაკადების დაანგარიშება

ფულადი ნაკადი	საოპერაციო	36 210 GEL	33 635 GEL	23 735 GEL	-38 915 GEL
საქმიანობიდან					
შემოსული ფულადი სახსრები	საქონლის რეალიზაციიდან	62 935 GEL	46 375 GEL	42 440 GEL	42 440 GEL
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან					
შემენილი საქონელი (თვითღირებულებით)		15 660 GEL	0 GEL	0 GEL	62 645 GEL
კომუნალური გადასახადები		90 GEL	90 GEL	90 GEL	90 GEL
იჯარა		2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL	2 400 GEL
ხელფასის სახით განაცემი		8 075 GEL	8 075 GEL	8 075 GEL	8 075 GEL
სხვა ხარჯები		500 GEL	500 GEL	500 GEL	500 GEL
საგადასახადო ხარჯი		0 GEL	1 675 GEL	7 640 GEL	7 645 GEL

ფულადი ნაკადები	საინვესტიციო	130 970 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
საქმიანობიდან					
საინვესტიციო შემოსავალი		169 450 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
კაპიტალში შენატანი		169 450 GEL			
საინვესტიციო ხარჯები		38 480 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL

ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL
კომპიუტერი	600 GEL
მოწყობილობა და დანადგარები	36 580 GEL
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL

დაფინანსების წყაროები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს საქმიანობის დასაწყებად საჭიროა 169 450 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. საწარმოო ინვესტირება შესაძლებელია სრულად იქნას განხორციელებული საწარმოს დამფუძნებლის მიერ, ასევე შესაძლებელია ნებისმიერი პროპორციის მიხედვით განაწილებულ იყოს დამფუძნებლის პირადი შენატანითა და შედარებით დაბალპროცენტიანი სესხით, ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითაც.

პირველ რიგში განვიხილოთ შემთხვევა როცა საწარმოო ინვესტირება სრულად განხორციელდა საწარმოს დამფუძნებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტი. ამაში იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა ანუ ინვესტიციების ეფექტიანობა და მისი გამოანგარიშება მოგების დაბანდებად კაპიტალთან შეფარდებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის მოგებას მოგვცემს ყოველი ინვესტირებული ერთი ლარი. მოცემულ შემთხვევაში მოგება შეადგენს 41 540 ლარს, ხოლო ინვესტიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 169 450 ლარს. შესაბამისად, მათი შეფარდება და ასზე გამრავლება გვაძლევს 25 პროცენტთან უკუგების კოეფიციენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩირიანი შოკოლადის წარმოება, ინვესტორს, ყოველ დაბანდებად 1 ლარზე, 25 თეთრიან მოგებას მოუტანს. ამ პირობით, მოგების მარჟა კვლავ 23 პროცენტი იქნება, თუმცა იგი შეიცვლება იმ შემთხვევაში თუ მეწარმე საქმიანობას მოზიდული სახსრებით წამოიწყებს. კერძოდ, თუ კომპანია აიღებს 100 000 ლარის ოდენობის 11,8 პროცენტთან სესხს კომერციული ბანკიდან, 3 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი თანხა იქნება დამფუძნებლის პირადი შენატანი, მაშინ მოგების მარჟა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ რაოდენობის სესხის პროცენტის დასაფარად კომპანიას დამატებით 10 240 ლარის

ოდენობის ხარჯის გაღება მოუხდება, 19 პროცენტამდე შემცირდება, თუმცა იგივე ანუ 25 პროცენტი დარჩება უკუგების კოეფიციენტი. შედარებით დაბალპროცენტიანი სესხის აღების ან საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში კი მეწარმეს საშუალება მიეცემა საკუთარი აქტივები სხვა მიმართულებით, მაგალითად, ბიზნესის მარკეტინგული კუთხით განვითარებისთვის გამოიყენოს.

ბიზნესის რენტაბელობის საბოლოო შეფასება

საერთოდ, ბიზნესის რენტაბელობა რამდენიმე პარამეტრით, მათ შორის კონკრეტულ დარგში არსებული კონკურენციით, ბაზრის თავისებურებით, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებით, გაყიდვების მაჩვენებლებით და მოსალოდნელი მოგების მარჟით ფასდება. გაანგარიშებებმა ნათლად აჩვენა, რომ ჩირის გადამამუშავება ყველა მათგანის შემთხვევაში, დადებითად ხასიათდება. კერძოდ, წარმოების ამ მიმართულებაში მომუშავე კომპანიების რიცხვი არის ძალიან მცირე, პროდუქციის თვითღირებულება ჯდება ნორმის ფარგლებში და გაყიდვების მაჩვენებლები არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება, მოგების მარჟას, როგორც უკვე ვნახეთ საქმიანობის ფინანსური ანალიზის შედეგად იგი წარმოადგენს 23%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩირის წარმოება არის საშუალო რენტაბელობის ბიზნესი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში, საშუალო ოდენობის მოგებაზეა ორიენტირებული. ამ ტიპის სამეწარმეო საქმიანობა მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოითხოვს ძვირადღირებული საწარმოო საშუალებების შეძენას და ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯების ამოღება მეწარმეს მოკლე პერიოდში შეუძლია.

საწარმოო სტანდარტები და სურსათის უვნებლობა

ვინაიდან ჩირიანი შოკოლადი ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ნედლეულისგან - ჩირისა და შოკოლადისგან შედგება, მეწარმე ვალდებულია, საერთაშორისოდ აღიარებული საწარმოო სტანდარტები ორივე პროდუქტის შემთხვევაში დაიცვას. კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, საჩირედ გამოიყენება ქლიავის მხოლოდ მწიფე, დაუზიანებელი ნაყოფი, ხოლო დამატებით ნედლეულად - შოკოლადის კარგად შემოწმებული და ჯანსაღი მასა. იმისათვის, რომ წარმოებული პროდუქტი იყოს ჯანსაღი და უვნებელი, საწარმოში უნდა გატარდეს შემდეგი სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები:

- პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნიფორმით;
- საწარმო მუდმივად უნდა მარაგდებოდეს სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით;
- საწარმოში შექმნილი უნდა იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის პირობები;
- შენობის ტერიტორიაზე უცხო პირები არ უნდა დაიშვებოდნენ სუფთა სპეცტანსაცმლისა და ფეხსაცმელზე ერთჯერადი მოსაცმელის გარეშე.

გარდა ამისა, საწარმოში დასაქმებული პერსონალი ვალდებულია, მუშაობის დაწყებამდე, შეასრულოს პირადი ჰიგიენის დაცვის შემდეგი მოთხოვნები:

- მიიღოს შხაპი;
- ჩაიცვას სუფთა სპეცტანსაცმელი;
- კარგად დაიბანოს ხელი საპნით;
- გადაივლოს სადეზინფექციო ხსნარით;
- დაიფაროს თმები თავსაფრით ან ქუდით.

აღსანიშნავია, რომ დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, რეკომენდირებულია ნედლეულთან ან პროდუქტთან უშუალო შემხებლობაში მყოფი პირი, დაზიანებული ხელით, არ დაიშვას სამუშაოდ. შეფუთვა-მარკირებისას კი, კვების საერთაშორისო სტანდარტების დამდგენი ინტერნაციონალური კომისიის მიერ შემუშავებული

დოკუმენტის მიხედვით, შოკოლადის პროდუქტების ეტიკეტზე პროდუქტის სახელწოდების გარდა დაიტანება შემდეგი ინფორმაცია:

- მწარმოებლის დასახელება;
- მწარმოებლის მისამართი;
- დამზადების თარიღი;
- შეფუთვის მასა;

ამასთან დაშვებულია პროდუქტს შეერიოს სხვადასხვა სახის კვებითი დანამატები, რომელთა გამოყენებაც ადგილობრივი კანონმდებლობით აკრძალული არ არის. რაც შეეხება შენახვის პირობებს, შეფუთული ჩირიანი შოკოლადის შენახვა შეიძლება მშრალ, ბნელ და გრილ ადგილზე, სპეციალურად მოწყობილ თაროებზე, მუყაოს ყუთებში. შენახვისთვის ოპტიმალური ტემპერატურა 12-დან 18 გრადუს ცელსიუსამდე, ხოლო ფარდობითი ტენიანობა 75 პროცენტია. ამ პირობებში პროდუქციის შენახვა 6 თვემდეა შესაძლებელი.